



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. ბი.

ფრიდონ შენგელია

„16“ 02 2015 წელი

ეგზ. N1

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის აბაშის, ზუგდიდის,
მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის უნიციპალიტეტებსა და
თვითმმართველ ქალაქ ფოთში 2011-2012 წლების შესაბამისობის და 2013 წლის ფინანსური
და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

აშ 21/00

შინაარსი

გვ.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	5
აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები	5
შპს „სანისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	5
შპს „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS“-თან გაფორმებული ხელშეკრულება	8
შპს „არტ ფორუმთან“ და შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები	10
შპს „არტ ბათუმთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები	11
შპს „CMD DOMINGO INGENIEROS“-თან გაფორმებული ხელშეკრულება.....	12
ლაზიკა	13
მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა	13
მივლინება, საწვავი, ავტომანქანის რემონტი, წარმომადგენლობითი ხარჯები.....	14
უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე	15

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში (შემდგომში - გუბერნატორის ადმინისტრაცია) ფინანსური აუდიტი, რომელმაც მოიცვა ბალანსი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშები. აუდიტმა მოიცვა შემდეგი ანგარიშები: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომაქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტმა ასევე მოიცვა ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

გუბერნატორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა,

აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის პერიოდში გუბერნატორის ადმინისტრაციაში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია ბალანსზე რიცხული ქონების და მოთხოვნა/ვალდებულებების რეალობის დასადგენად, რათა ბალანსზე ასახული აქტივების არსებობა და სისრულე დადასტურებულიყო. დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნები.

ადმინისტრაციის ბალანსზე აღრიცხულია 84.4 ათასი ლარის ხანდაზმული კრედიტორული დავალიანება, რომელიც მომდინარეობს 1998-2010 წლებიდან.

ადმინისტრაციას ბალანსის საცნობარო მუხლში „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“ ასახული აქვს საქართველოს პარლამენტის აპარატიდან 2012 წლის 12 ოქტომბერს მუდმივ სარგებლობაში გადაცემული 26.0 ათასი ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების საოფისე მოწყობილობა და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან 2012 წლის 18 ივნისს უსასყიდლოდ გადაცემული 131 დასახელების 296.7 ათასი ლარის ქონება რაც უნდა ასახულიყო ბალანსის არაფინანსური აქტივების განყოფილებაში. დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 20-ე მუხლის მოთხოვნები.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, აუდიტორული მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე არაარსებითი გავლენის გამო, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს გუბერნატორის ადმინისტრაციის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, გუბერნატორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ შეესაბამება თუ არა განხორციელებული ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ

შპს „სანისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N 418(3,000.0 ათასი ლარი) , 5 მაისის N 548 , 18 ივნისის N775 (3,000.0 ათასი ლარი), 9 ივლისის N 896 (8,620.0 ათასი ლარი),

10 ივნისის N750 (2,000.0 ათასი), 23 ივნისის N825 (3,816 ათასი) და 2012 წლის 31 ივლისის N 1492 (1,600.0 ათასი ლარი) განკარგულებებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლისა და ბულვარის გაშენების, ანაკლია-განმუხურის წყალმომარაგებისა და წყალარინების და გარე განათების სამუშაოების ხარჯების დაფინანსების მიზნით გუბერნატორის ადმინისტრაციას გამოეყო სულ 22,036.0 ათასი ლარი. განკარგულებების თანახმად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში განხორციელების მიზნით პროექტებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები უნდა განხორციელებულიყო ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გუბერნატორის ადმინისტრაციასა და შპს „სანის“ შორის ზემოაღნიშნულ სამუშაოებზე 2010 წელს გაფორმებული იქნა 3 ხელშეკრულება 19,914.2 ათასი ლარზე, თანდართულ საბაზო ხარჯთაღრიცხვებთან და სამუშაოების შესრულების კალენდარულ გრაფიკთან ერთად. კერძოდ: ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლისა და ბულვარის გაშენების სამუშაოებზე 2010 წლის 17 მაისის N43 ხელშეკრულება 14,474.9 ათას ლარზე (04.08.2010წ. შეთანხმებით დამატებითი სამუშაოების გამო გაიზარდა 15,842.0 ათას ლარამდე); წყალმომარაგებისა და წყალარინების სამუშაოების შესრულებაზე 2010 წლის 28 ივნისის N58 ხელშეკრულება 3,815.8 ათას ლარზე (04.08.2010წ. შეთანხმებით დამატებითი სამუშაოების გამო გაიზარდა 4,071.9 ათას ლარამდე); გარე განათების ქსელის ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებაზე 2010 წლის 28 ივნისის N59 ხელშეკრულება 262.2 ათას ლარზე. ხელშეკრულებების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2011 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო შეთანხმებების შემდეგ გაიზარდა 2013 წლის 1 ივლისამდე. საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელი იყო ავანსად თანხის გადახდა ხელშეკრულების ჯამური თანხის 90%-ის ოდენობით.

წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების (ფორმა N2) თანახმად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 18,400.4 ათასი ლარი. მათ შორის 2010 წელს 13,425.5 ათასი ლარი, 2012 წელს 4,974.9 ათასი ლარი. ფორმა 2-ების შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2010 წლის 6 სექტემბრის N 12512/03/1 დასკვნაში შესრულებულ სამუშაოდ სიტყვიერად მითითებულია თანხა 4,465.7 ათასი ლარი, რაზედაც წარმოდგენილია შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, მაშინ როდესაც შესწავლილი შესრულებული სამუშაოების რეესტრის გაანგარიშებით, ფორმა N2-ის მიხედვით, ასევე 2010 წლის 22 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტით და ინსპექტირების ჯგუფის დასკვნით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ

შეადგენა 4,455.7 ათასი ლარი, ანუ 10.0 ათასი ლარით ნაკლები, რაც წარმოადგენს ზედმეტად გადახდილ თანხას.

N43 ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო სხვადასხვა დასახელების სკამის, მათ შორის 690 ერთეული პერიმეტრული სკამის მოწყობა, ღირებულებით 114.5 ათასი ლარი. წარმოდგენილ სამ ფორმა N2-ში კი ნაჩვენებია 1340 ერთეული სკამის მოწყობა (650 ერთეულით მეტი) ღირებულებით 222.4 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ბოლო ფორმა N2-ში, სადაც ფიქსირდება შესრულებული სამუშაოები დაწყების პერიოდიდან, მიმდინარე პერიოდის ჩათვლით, ნაჩვენებია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 690 ერთეული სკამის მოწყობა და არა 1340 ერთეულის. ამდენად სკამების მოწყობის სამუშაოები, შესრულებული სამუშაოების აქტების მიხედვით გაზრდილია 650 ერთეულით, შესაბამისად დარიცხვების (ზედნადები 7 %, დაგროვილი მოგება 8 %, დღგ 18 %) გათვალისწინებით ზედმეტად ანაზღაურებულია 147.1 ათასი ლარი $(650 \cdot 165.94 \cdot 7\% \cdot 8\% \cdot 18\%)$.

სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო ღია ნაცრისფერი (3008 მ²) და მუქი ნაცრისფერი (2277 მ²), სულ 5285 მ² გრანიტის ფილების დაგება, ზომით 80*60*5 სმ. ერთი მ² ფილის ღირებულება ხარჯთაღრიცხვით შეადგენდა 135 ლარს. შესრულებული სამუშაოების აქტების (ფორმა N2) თანახმად დაგებულია 4548 მ² გრანიტის ფილა, ღირებულებით 614.0 ათასი ლარი (1მ² - 135 ლარი). სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებში მითითებულია, რომ ექსპერტი სარგებლობდა მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოცემულ „სამშენებლო რესურსების ფასების კრებულით“. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კრებულში 5 სმ სისქის 1მ² გრანიტის ფილის ღირებულებად მითითებულია 80 ლარი და არა 135 ლარი (ციფრი 135 ცხრილის მიხედვით წარმოადგენს ერთი კვადრატული მეტრის წონას კგ-ებში და არა ფასს). ამდენად, შესრულებული სამუშაოების აქტებში 1მ² გრანიტის ფილის ღირებულება გაზრდილია 55 ლარით, ხოლო მთლიანი ღირებულება დარიცხვების გათვალისწინებით 341.1 $(4548 \cdot 55 \cdot 7\% \cdot 8\% \cdot 18\%)$ ათასი ლარით, რაც წარმოადგენს ზედმეტად გადახდილ თანხას.

2012 წლის 21 აგვისტოს შესრულებულ სამუშაოს აქტში (გარე განათების ქსელის მოწყობა) ნაჩვენებია გაუშიფრავი გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომელიც შეადგენს 1.9 ათას ლარს დანარიცხების გარეშე, ხოლო დანარიცხების გათვალისწინებით 2.6 ათას ლარს (ზედნადები ხარჯები 7%, გეგმიური დაგროვება 8%, დღგ 18%) და წარმოადგენს ზედმეტად ანაზღაურებულ თანხას.

ამდენად, შპს „სანისთვის“ ზედმეტად გადახდილია მინიმუმ 500.8 ათასი ლარი.

იმის გამო, რომ შპს „სანის“ მიერ არ იქნა წარმოდგენილი შესყიდვასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტები, ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის

შეზღუდვას, რის გამოც საკითხი სრულყოფილად ვერ იქნა შესწავლილი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნით, შპს „სანის“ მიერ გუბერნატორის ადმინისტრაციისადმი 2014 წლის 30 დეკემბრის N30/12/14-1 გაგზავნილი წერილის დანართებიდან ირკვევა, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 23 ნოემბრის N 11/ზ-1208-2012 განჩინების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს მიერ 2012 წლის 26 ნოემბერს ამოღებულია შპს „სანის“ მიერ 2004 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ნოემბრამდე განხორციელებული საქმიანობის ამსახველი ყველა სახის ორგანიზაციულ-სამეურნეო და საბუღალტრო დოკუმენტაცია.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ შპს „სანის“ 2010 წლის 10 სექტემბრიდან 2012 წლის აგვისტომდე სამუშაოები არ უწარმოებია, ხოლო ამ პერიოდის განმავლობაში მასზე ირიცხებოდა 4,864.3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც ავანსად იქნა გადარიცხული 2010 წელს.

შპს „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS“-თან გაფორმებული ხელშეკრულება

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 18 აგვისტოს N 18/08/05 განკარგულებით, ანაკლიის ახალი სანაპირო ბულვარისა და ამფითეატრის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გუბერნატორის ადმინისტრაციას გამოეყო 496.0 ათასი ლარი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1 მუხლის მე-3¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე შპს „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS“-თან 2011 წლის 18 აგვისტოს გაფორმდა N 71/18.08.11 ხელშეკრულება ზემოაღნიშნული ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გამართულიყო 2011 წლის 22 აგვისტოს, დანართი N1-ით განსაზღვრული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 496.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნით, შპს „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS“-ის მიერ 2014 წლის 30 დეკემბრის N66 წერილით გუბერნატორის ადმინისტრაციისთვის წარმოდგენილია ღონისძიების მიხედვით გასამართად სხვადასხვა ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარების აქტების და თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, რომელთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

ქვეკონტრაქტორ შპს „ლუმასთან“ 2011 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული N77 ხელშეკრულების (98.1 ათას ლარზე) მიხედვით შესასრულებელი იყო ღონისძიებისთვის

საჭირო შემდეგი სამუშაოები: სცენის აშენება, განათება, დეკორაციები, განათების მონტაჟი, ხის სარეკლამო ბანერი, დეი ჯეის გადახურვა, ხალიჩები სცენაზე, ხალიჩები კარვებში, მათი ტრანსპორტირება, მონტაჟი-დემონტაჟი და მათი თანმდევი სამუშაოების შესრულება. ხელშეკრულებას არ ახლდა შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, შესაბამისად აუდიტის ფარგლებში ვერ დადგინდა თუ რა ღირებულებისა და მოცულობის სამუშაოებია ჩატარებული.

შპს „თავადი 1“-თან 2011 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული N 85 ხელშეკრულების (27.0 ათას ლარზე) საგანს წარმოადგენდა ბულვარის ტერიტორიაზე სარეკლამო ბილბორდების დამზადება, მონტაჟი და ავტოსადგომის განათების მოწყობა ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტის და ხარჯთაღრიცხვის შესწავლისას გაირკვა, რომ სარეზერვო ელექტრომომარაგების მიზნით, გენერატორების საწვავის შეძენაზე გახარჯულია 2.8 ათასი ლარი დარიცხვების გარეშე, ხოლო დარიცხვებით 4.1 ათასი ლარი (ტრანსპორტირება 2%, ზედნადები ხარჯი 12%, გეგმიური დაგროვება 10%, დღგ 18%). ვინაიდან არ დამდგარა საწვავის გამოყენების აუცილებლობა, არსებული ნაშთი ღონისძიების დასრულების შემდეგ აქტივის სახით უნდა გადაცემოდა გუბერნატორის ადმინისტრაციას, რაც არ განხორციელებულა. შესაბამისად საწვავის ღირებულება 4.1 ათასი ლარი წარმოადგენს ზედმეტად გადახდილ თანხას. გარდა ამისა ადმინისტრაციის ბალანსზე აქტივად არ აღრიცხულა ამავე ხელშეკრულების საფუძველზე დამზადებული 19.1 ათასი ლარის ღირებულების სარეკლამო ბილბორდი.

ანალოგიურად აქტივად არ არის აღრიცხული შპს „არქეფექტის“ მიერ 2011 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული N100 ხელშეკრულების საფუძველზე დამზადებული 3.8 ათასი ლარის ღირებულების სარეკლამო ბილბორდები.

შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდიასთან“ 2011 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული N82 ხელშეკრულების (36.5 ათას ლარზე) საგანს წარმოადგენდა ღონისძიების პირდაპირი ეთერით უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ (მათ შორის ახალი სანაპირო ბულვარისა და ამფითეატრის ვიდეოგადაღება და საზოგადოებისთვის მიწოდება). ამ და სხვა ფუნქციების შესასრულებლად მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს შესაბამისი ასიგნება და გუბერნატორის ადმინისტრაციის მიმართვის შემთხვევაში ის ვალდებული იყო პირდაპირი ეთერით უზრუნველყოფა განეხორციელებინა ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე. მიუხედავად ამისა გუბერნატორის ადმინისტრაციამ ღონისძიების პირდაპირი ეთერით უზრუნველყოფაზე დამატებით გასწია 36.5 ათასი ლარის ხარჯი, რომლის შესაბამისობაც გაწეული მომსახურების რეალურ ღირებულებასთან ვერ იქნა

დადასტურებული, წინასწარი ხარჯთაღრიცხვისა და შესაბამისი დოკუმენტაციების არ არსებობის გამო.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ შპს ANAKLIA-GANMUXURI RESORTS"-ის მიერ ქვეკონტრაქტორებზე გადარიცხულია ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული გაწეული სამუშაოს/მომსახურების ღირებულება 420.3 ათასი ლარი (მათ შორის დღგ-ს თანხა 39.6 ათასი ლარი). გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის წარდგენილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში კი დღგ-ს თანხა (75.7 ათასი ლარი) დარიცხულია 420.3 ათას ლარზე და არა 380.7 ათას ლარზე (420.3-39.6), რომლის დღგ უნდა ყოფილიყო 68.5 ათასი და არა 75.6 ათასი ლარი. ამდენად, დარიცხულ და დასარიცხ დღგ-ს თანხებს შორის სხვაობა 7.2 ათასი ლარი (75.7-68.5) წარმოადგენს ზედმეტად დარიცხულ (გადახდილ) თანხას, რაც დაუშვებელია საგადასახადო კანონმდებლობით. (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის მიხედვით დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება დღგ-ის გადამხდელის მიერ მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით დღგ-ის გარეშე).

შპს „არტ ფორუმთან“ და შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 4 და 6 იანვრის N 04/01/01 და 06/01/03 განკარგულებებით, მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საახალწლო ღონისძიების უზრუნველსაყოფად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გუბერნატორის ადმინისტრაციას გამოეყო შესაბამისად 161.4 ათასი ლარი და 25.9 ათასი ლარი, სულ 187.3 ათასი ლარი. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1 მუხლის მე-3¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით გაფორმებულია 2 ხელშეკრულება. კერძოდ, შპს „არტ ფორუმთან“ 2011 წლის 4 იანვრის N1 ხელშეკრულება 161.4 ათას ლარზე (06.01.2011წ N1 შეთანხმებით გაიზარდა 169.6 ათას ლარამდე) და შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდიასთან“ 2011 წლის 6 იანვრის N12 ხელშეკრულება პირდაპირ ეთერში ჩართვისა და სარეკლამო კლიპის მომზადების უზრუნველსაყოფად 17.7 ათას ლარზე.

შპს „არტ ფორუმი“-ს ხელმძღვანელ პირთა მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების გამო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს 2014 წლის 1 ოქტომბრის N6798/15.04.03/2 მიმართვის წერილის თანახმად, გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ 2014 წლის 13 ოქტომბრის N01/567 წერილით საგამოძიებო

სამსახურზე გაგზავნილია შპს „არტ ფორუმთან“ გაფორმებული ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების, ანგარიშ-ფაქტურის, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადახდო მოთხოვნის ასლები. ზემოაღნიშნული გარემოების გამო ხელშეკრულების შესწავლასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

რაც შეეხება შპს „ჰორიზონტ ტე სტუდიასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც შესაძლებელი იყო დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე საზოგადოებრივ მაუწყებელს მოეხდინა პირდაპირი ეთერით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, წინა შემთხვევაში ანალოგიურ მომსახურებაზე გადახდილია გაცილებით დიდი თანხა (36.5 ათასი ლარი), ვიდრე ამ ხელშეკრულებით (17.7 ათასი ლარი), რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თანხების გადახდა წარმოებდა დაუსაბუთებლად, რეალურად შედგენილი ხარჯთაღრიცხვების გარეშე. შედეგად ადგილი ჰქონდა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას.

შპს „არტ ბათუმთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 13 ოქტომბრის N13/10/06 განკარგულებით ანაკლიის, როგორც თავისუფალი ზონის პოპულარიზაციისათვის დაგეგმილი ღონისძიების უზრუნველსაყოფად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გუბერნატორის ადმინისტრაციას გამოეყო 202.3 ათასი ლარი. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1 მუხლის მე-3¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე აღნიშნული ღონისძიების 26 ოქტომბერს ჩატარებასთან დაკავშირებით 2011 წლის 18 ოქტომბერს შპს „არტ ბათუმთან“ გაფორმდა N80 ხელშეკრულება 202.3 ათას ლარზე. 19 ოქტომბერს ავანსად გადაირიცხა 170.0 ათასი ლარი. 19 ოქტომბრის N1 შეთანხმების ოქმით ანაკლიის თავისუფალი საკურორტო ზონის პოპულარიზაციის მიზნით 26 ოქტომბერს გასამართი ღონისძიება ანაკლიის ნაცვლად უნდა გამართულიყო ქალაქ ბათუმში. აღსანიშნავია, რომ ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილია მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტი, ღონისძიების ჩატარებიდან ორი თვის დაგვიანებით (2011 წლის 30 დეკემბერი), ისიც მხოლოდ ავანსად გადახდილი თანხის შესაბამის ოდენობაზე (170.0 ათასი ლარი) და არა მთლიან თანხაზე. ფაქტობრივი შესრულების ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნით გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ 2014 წლის 24 დეკემბრის N01/1013 წერილით შპს „არტ ბათუმს“ ეთხოვა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. აღნიშნული წერილის პასუხად შპს „არტ ფაქტორის“ (ყოფილი „არტ ბათუმი“. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს NB12130781/3

07.12.2012წ. გადაწყვეტილება) 2015 წლის 6 იანვრის წერილის თანახმად შპს „არტ ფაქტორის“ დოკუმენტაცია დაარსების დღიდან შემოწმების მიზნით ამოღებული აქვს შემოსავლების სამსახურს, თუმცა დოკუმენტების ამოღების დამადასტურებელი ოქმი წარმოდგენილი ვერ იქნა. ზემოაღნიშნული გარემოებები წარმოშობს ექვს ღონისძიების ჩატარების რეალობასთან დაკავშირებით, რაც შემდგომი შესწავლის საგანს წარმოადგენს. ამდენად, საკითხის შესწავლისას ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 23 დეკემბრის N23/12/03 განკარგულებით, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების უზრუნველსაწოფად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გუბერნატორის ადმინისტრაციას გამოეყო 404.0 ათასი ლარი. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1 მუხლის მე-3¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2011 წლის 26 დეკემბერს შპს „არტ ბათუმთან“ გაფორმდა N112 ხელშეკრულება (403.9 ათას ლარზე) საახალწლო საზეიმო ღონისძიების 31 დეკემბერს ანაკლიაში გამართვის ორგანიზებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების დანართი N 1-ის შესაბამისად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნით გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ 2014 წლის 24 დეკემბრის N01/1013 წერილით შპს „არტ ბათუმს“ ეთხოვა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. აღნიშნული წერილის პასუხად შპს „არტ ფაქტორის“ (ყოფილი „არტ ბათუმი“. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს NB12130781/3 07.12.2012წ. გადაწყვეტილება) 2015 წლის 6 იანვრის წერილის თანახმად შპს „არტ ფაქტორის“ დოკუმენტაცია დაარსების დღიდან შემოწმების მიზნით ამოღებული აქვს შემოსავლების სამსახურს, თუმცა დოკუმენტების ამოღების დამადასტურებელი ოქმი წარმოდგენილი ვერ იქნა. საკითხის შესწავლისას ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

შპს „CMD DOMINGO INGENIEROS“-თან გაფორმებული ხელშეკრულება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2013 წლის 6 იანვრის N11ა/102 განჩინების საფუძველზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს მიერ 2013 წლის 13 იანვრის და 21 მარტის ამოღების ოქმებით ამოღებულია გუბერნატორის ადმინისტრაციასა და შპს „CMD DOMINGO LAZARO INGENIEROS“-ს შორის ურთიერთამსახველი სრული დოკუმენტაცია. აუდიტის პერიოდში შპს „CMD DOMINGO

LAZARO INGENEROS“-ზე გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გადარიცხულია 394.1 ათასი ლარი. საკითხის შესწავლისას ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

ლაზიკა

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 27 ივლისის N 27/07/02 განკარგულებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1 მუხლის მე-3¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ქალაქ ლაზიკაში დაგეგმილი ღონისძიების უზრუნველსაყოფად გუბერნატორის ადმინისტრაციას გამოეყო 600.0 ათასი ლარი. 2012 წლის 18 სექტემბერს აღნიშნული ღონისძიების ჩატარების მიზნით ხელშეკრულებები გაფორმებულია 12 მეწარმე სუბიექტთან, მათ შორის ქუთაისიდან, ზუგდიდიდან და სამეგრელოს სხვა დანარჩენი რეგიონებიდან ლაზიკაში 43618 მგზავრის გადაყვანაზე გაფორმდა 10 ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 294.8 ათასი ლარი. შემზღუდავ-დამცავი ჯგუხის ტრანსპორტირებაზე შპს „მეგოსთან“ გაფორმებულია 4.5 ათასი ლარის ღირებულების, ხოლო შპს „არტ ბათუმთან“ 229.2 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება საზეიმო ღონისძიების ორგანიზებისთვის. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ მომწოდებლებზე ავანსის სახით 2012 წლის 18 სექტემბერს გადარიცხა 348.0 ათასი ლარი. ღონისძიების გაუქმების გამო უკან დაბრუნებულია 151.1 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გაუქმების მომენტისთვის მიღება-ჩაბარების აქტებით შპს „არტ ბათუმის“ მიერ ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 87.3 ათასი ლარი, შპს „ლაშა 2007-ის“ ხარჯმა 105.9 ათასი ლარი, შპს „ზუგდიდავტოტრანსის“ ხარჯმა 12.7 ათასი ლარი, ი.მ ბესიკ ალექსანდრიას ხარჯმა 2.0 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს 2014 წლის აპრილის 29 N 15-04-10/07/228 წერილიდან ირკვევა, რომ მათ წარმოებაშია ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით ჩარიცხული თანხების მითვისების ფაქტზე არსებული სისხლის სამართლის საქმე.

მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა

გუბერნატორის ადმინისტრაციამ 2012 წლის 5 მაისის N 07.01.06/711 წერილით, თხოვნით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სოციალური მიზნებისთვის, უსასყიდლოდ გადაცემოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 4 აპრილის N1/1513-12 განაჩენით სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული სხვადასხვა დასახელების

ქონება დანართი N1-ის შესაბამისად. ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 15 ივნისის N 1223 ბრძანების და 18 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად გუბერნატორის ადმინისტრაციას უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული 131 დასახელების 296.7 ათასი ლარის ქონება (ქალის და ბავშვის ფეხსაცმელები, ტანსაცმელი, ქალის ჩანთები, კანისა და სახის კრემები, სურნელოვანი სითხეები, კბილის პასტები, პარფიუმერიის საშუალებები, სარეცხი ფხვნილები, ბიჟუტერია და სხვა). აღნიშნული ქონება აყვანილია ბალანსგარეშე ანგარიშზე და მთავარი ბუღალტრის სიტყვიერი განმარტების თანახმად ინახება სს „ცეკავშირის ზუგდიდის სასურსათო კომბინატში“ იჯარით აღებულ ფართში. გაურკვეველია ორი წლისა და ექვსი თვის განმავლობაში დიდი ოდენობის მატერიალური ფასეულობის შენახვის მიზეზი. ამასთან, შენახვაზე გადახდილია იჯარის თანხა 6.0 ათასი ლარი, რაც წარმოადგენს არარაციონალურ ხარჯს.

მივლინება, საწვავი, ავტომანქანის რემონტი, წარმომადგენლობითი ხარჯები

ქვეყნის გარეთ მივლინებებზე გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ 2011 წელს გაწეულია 32.4 ათასი ლარის, 2012 წელს 11.0 ათასი ლარის, ხოლო 2013 წელს 4.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი. აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევებში მივლინებას თან არ ახლავს მიწვევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის 2011 წლის 13 იანვრის N8 განკარგულებით ინვესტირებთან შეხვედრის მოტივით (მიწვევა ვერ წარმოადგინეს) 2011 წლის 16 იანვრიდან 23 იანვრის ჩათვლით გუბერნატორი იმყოფებოდა გერმანიაში, ბელგიასა და შვეიცარიაში. მასზე დღიური ნორმა ნაცვლად 8 დღისა ანაზღაურებულია 11 დღის. ზედმეტად ანაზღაურებულია სამი დღის თანხა 706.7 ლარი ($57 \times 3 \times 2.4308 + 70\%$ დანამატი). გარდა ამისა გუბერნატორს აუნაზღაურდა ავტომანქანის დაქირავების ხარჯი 1.6 ათასი ლარის ოდენობით. რომლის ანაზღაურებაც არ არის გათვალისწინებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულების შესაბამისად (N3 დანართის შენიშვნების მეხუთე პუნქტი). ანალოგიურად ანაზღაურებულია 2011 წლის 4 მარტის N24 განკარგულების შესაბამისად 2011 წლის 6 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით საფრანგეთში, შვეიცარიაში და ბელგიაში მივლინების დროს ავტომანქანის დაქირავებისთვის გაწეული ხარჯი 3.1 ათასი ლარი. აუდიტის პერიოდში სულ გუბერნატორზე ზედმეტად ანაზღაურებულია 5.4 ათასი ლარი.

შპს „ომეგა-მოტორსთან“ 2011 წლის 1 თებერვალს N26 (6.0 ათასი ლარი) და 29 აპრილს N45 (40.0 ათასი ლარი) გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად შემსრულებელი უზრუნველყოფს ერთი ავტომანქანა BMW X5-ის ავტოსათადარიგო ნაწილებით, საცხებ-საპოხი მასალებით და მასთან დაკავშირებული ავტოტექნიკური და ელექტრონული მომსახურების მიწოდებას 2011 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში. წარმოდგენილია 2011 წლის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები შესაბამისი ინვოისებით (შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი), რომლის თანახმადაც აღნიშნული

ავტომანქანის შეკეთებაზე გაწეულია არაგონივრულად დიდი ოდენობის, 39.5 ათასი ლარის ხარჯი, მაშინ როცა ავტომანქანის დაზიანების შესახებ დეფექტური აქტი ან რაიმე სხვა დოკუმენტი გუბერნატორის ადმინისტრაციაში არ მოიპოვება. ამ პერიოდისთვის ავტომანქანის (2007წლის გამოშვება) ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 79.8 ათას ლარს. ავტომანქანაზე გაწეულმა ხარჯმა ნარჩენი საბალანსო ღირებულების 49.5% შეადგინა. აღნიშნული ავტომანქანა 2011 წლის 16 ნოემბერს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის N35 განკარგულებით გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც 2012 წლის ოქტომბერში კვლავ გადმოეცა გუბერნატორის ადმინისტრაციას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ როგორც ავტოტრანსპორტის შეკეთებასთან დაკავშირებით, ასევე წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის დროს არ არსებობს კონტროლის მექანიზმები, არ წარმოებს მოხსენებითი ბარათებისა და დეფექტური აქტების შედგენა. თანხები გადახდილია უკვე გაწეულ მომსახურებაზე .

2011 წლის ზოგიერთ თვეში გუბერნატორს გაწეული აქვს დიდი ოდენობის სატელეფონო საუბრების(მოზილურის) ხარჯი. კერძოდ: თებერვალში 1.7 ათასი ლარი, მარტში 3.8 ათასი ლარი, აპრილში 6.4 ათასი ლარი, მაისში 2.9 ათასი ლარი, ივლისში 6.6 ათასი ლარი, ოქტომბერში 1.9 ათასი ლარი. აუდიტის პერიოდში ასევე არაგონივრულად დიდი რაოდენობის საწვავია გახარჯული გუბერნატორის მიერ. კერძოდ: 2011 წელს გახარჯულია 24770 ლიტრი საწვავი (22100 ლიტრი ბენზინი, 2670 ლიტრი დიზელი), რაც საშუალოდ თვეში შეადგენს 2064 ლიტრს. 2012 წელს გახარჯულია 19660 ლიტრი (11720 ლიტრი დიზელი და 7940 ლიტრი ბენზინი), თვეში საშუალოდ 1638 ლიტრი, ხოლო 2013 წელს 15466 ლიტრი (13856 ლიტრი ბენზინი, 1610 ლიტრი დიზელი), თვეში საშუალოდ 1289 ლიტრი.

უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით გუბერნატორის ადმინისტრაციის საქმიანობა ზემოთ მოტანილი ფაქტების გამო შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.


უფროსი აუდიტორი

თენგიზ გურასაშვილი

 16.02.2015წ.

აუდიტორ-ასისტენტი

ნიკოლოზ ღულათავა

 16.02.2015წ.